



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კერძოდ, კულტურათაშორისი კომუნიკაციების განყოფილებას (უფროსი – პროფ. ინდირა მაგანია) მჭიდრო კავშირები აქვს სამხრეთ კავკასიაში ნატოს წარმომადგენლობასთან. ჩატარდა არაერთი ერთობლივი ღონისძიება. ამ ურთიერთობის გაგრძელება იყო 24 მაისს სოხუმის უნივერსიტეტში ბ-ნი ზბიგნევ რიბაცკის სტუმრობა. მან სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: `ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეპტი~. სტუმარმა ისაუბრა ნატოს მომავალზე, ახალ გარემოებებზე, უპასუხა დასმულ კითხვებს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ჯონი აფაქიძემ მადლობა გადაუხადა ბ-ნი ზბიგნევს მოზრძანებისათვის, აღნიშნა ამ ვიზიტისა და სართოდ, ნატოში საქარველოს გაწევრიანების მნიშვნელობა.

ნატოს წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში ზბიგნევ რიბაცკიმ ის სტუდენტები დაასაჩუქრა, რომლებმაც მის მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.